საგაზეთო ჩანართი

# ინტელექტი

ნაბიჯ-ნაბიჯ რეალური თვითმმართველობისაკენ

№9 / 2010

# „მთავრობის აპარატი ჩემთვის უდიდესი სკოლა იყო“

აჭარის რეგიონში ყველაზე ახალგაზრდა საკრებულოს თავმჯდომარე ქობულეთის მუნიციპალიტეტს ჰყავს. ნიკო ბერაძე 31 წლისაა და უკვე საკრებულოს თავმჯდომარის იმიჯი მოირგო. მთავრობის აპარატიდან ქობულეთის საკრებულოში თავმჯდომარის პოსტზე გადასული ბერაძე სიამაყით აცხადებს, რომ მთავრობის აპარატი მისთვის უდიდესი სკოლა იყო და თავის წარმატებას სწორედ მთავრობის აპარატს უმადლის.

ნიკო ბერაძე თავს რევოლუციაგამოვლილ თაობაში მოიაზრებს. ამბობს, რომ „2004 წლიდან ყველაფერმა ჩემს თვალწინ ჩაიარა... როცა ყველაფერს ხედავ, როცა უშუალოდ მონაწილეობ ამ პროცესებში, ხვდები, რა როგორ უნდა გადაწყვიტო, ვის სად და ვისთან უნდა უშუამდგომლო... დაგეგმარება გეხმარება იმაში, რომ ყველაფრის საწყისი გაიგო. ყველაფერს ერთი ხელის მოსმით ვერ გააკეთებ. 20 წელზე მეტი ყველა გულმოდგინედ ვანგრევდით ამ ჩვენს ლამაზ ქვეყანას და დადგა დრო, შეცდომები გამოვასწოროთ: ავაშენოთ და გავალამაზოთ!“

მთავრობის აპარატი ნიკო ბერაძისთვის, გარდა იმისა, რომ „უდიდესი სკოლა იყო“, მშობლიური კუთხის გაცნობის საფუძველიც აღმოჩნდა. სწორედ ამ სტრუქტურაში მუშაობამ მისცა შესაძლებლობა, რომ მთელი აჭარის რეგიონი ფეხდაფეხ მოევლო და გაცნობოდა ხალხის გასაჭირს, ზნეს, ხასიათს... სამაგიეროდ ახლა უკვე კარგად იცის, რომელი ხეობის მოსახლეობას როგორ უნდა ელაპარაკოს. ნიკო ბერაძის თქმით, „აჭარის უპირატესობა სხვა რეგიონებთან ის არის, რომ ჩვენთან სტაბილური ბიუროკრატიაა. ეს ბატონ ლევანის (აჭარის მთავრობის თავმჯდომარე) დამსახურებაა. აჭარა დღითიდღე ვითარდება და შედეგიც თვალსაჩინოა. არ მინდა, შედარებები ვაკეთო სხვა კუთხეებთან, მაგრამ ფაქტი უთქმელადაც ნათლად ჩანს! თუნდაც ინფრასტრუქტურა ავიღოთ. აქ ერთი თვის შემდეგ რომ გაივლი, იმდენი სიახლე შეგხვდება, რომ ქალაქს ველარ იცნობ... ძალიან სწრაფად შენდება და ლამაზდება ყველაფერი!“

რადგან ქალაქი „ერთიანი კონცეფციით“ უნდა განვითარდეს, ქობულეთის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, დაბა ჩაქვის ტერიტორიის ნაწილი, ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორია, ქალაქ ბათუმისთვის გადაეცა. საკრებულოს თავმჯდომარის თქმით, ეს გადაწყვეტილება მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად მიიღეს. „ბოტანიკური ბაღი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სპეციალურად ამ ბაღის სანახავად ბევრი ტურისტი ჩამოდის. ერთიანი კონცეფციის ფარგლებში შავიზღვისპირა ზოლი განვითარდება. ახლახან 1000-მდე ფინიკის ნერგი გვაჩუქეს და ზღვისპირა ზოლში გავაშენებთ. მომავალი წლისთვის აქ პარკის გაშენებას ვგეგმავთ და ამას ყველა ქობულეთელი დაინახავს.“



*ნიკო ბერაძე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე*

ვიდრე ქობულეთის მუნიციპალეტეტის ტერიტორიაზე ნიკო ბერაძე და მისი გუნდი პარკის გაკეთებას დაიწყებენ, მანამდე ქობულეთში ციტრუსის მოსავალი აქვთ ასაღები. შემოდგომა ქობულეთში გასულ წელს რომ უფრო მეტად ბარაქიანი იყო, ამას ამჟამინდელი საკრებულოს თავმჯდომარეც აღიარებს და წლევანდელ მოუსავლიანობაში გლეხებს ადანაშაულებს: „წელს მომძლავრდა სოკოვანი დაავადება, ე.წ. სიშავე. ჩვენმა გლეხობამ ამ სეზონზე პასიური როლი აირჩია და აი შედეგიც! თუ შენ გლეხი ხარ, შემოსავალს ყიდი და არავინ არაფერს არ გთხოვს ამაში, როცა შენი ბაღი დასაწამლია, თავი უნდა შეიწუხო, დაივალო და დაწამლო; მერე მოგებაში დარჩები. ახლა, როცა 5 ტონა შავი, გაფუჭებული მოსავალი აქვს გლეხს, ამავე 5-ტონიან ბაღს 200 ლარი ეყოფოდა დასაწამლად. ამიტომ გლეხმა უნდა გააკეთოს მარტივი კალკულაცია: რა იზარალა და რა თანხა დაუჯდებოდა ბაღის შეწამლა. შედეგად მივიღეთ ის, რომ მოსავალი ნაკლებია და მანდარინს კარგი ფასი აქვს. მომავალ 2011 წელს ამ მიმართულებით უკვე გვექნება კონკრეტული ნაბიჯები გადადგმული. ჩვენი გლეხი მიეჩვია იმას, რომ ვილაც შემოუძახებს... სახელმწიფო ყოველთვის უფასოდ ვერ გადაგიწყვეტს ამ საკითხს! სახელმწიფოს ბევრი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი... ასეც რომ არ იყოს, შეიძლება ათასობით ჰექტარი იყოს დასაწამლი და ყველას ვერ გავწვდებით. შერჩევითაც არ გამოვა – შენი დავწამლოთ, იმისი არ დავწამლოთ... ხალხის დახარისხება გამორიცხულია და აზრიც არ აქვს. შენ შუაში დაგიწამლავს კუნძულივით და ირგვლივ დაგიტოვებია, დაავადება იქაც გადმოვა“.

„თუ შენი კუთხე არ იცი, მაშინ სადაური ქობულეთელი ხარ?“ – კითხულობს ნიკო ბერაძე და ამაყობს თავისი წარმომავლობით. მიიჩნევს, რომ ქობულეთში ყველა გვარს და ოჯახს იცნობს და „ნამდვილი ქობულეთელია“. ქაქუთის მაჟორიტარი დეპუტატი მოსახლეობასთან შესახვედრად ძველებურად ველარ იცლის, მაგრამ როცა საჭიროება მოითხოვს, არ თაკილობს ადგილზე გასვლას და სიტუაციაში გარკვევას. „ყველას თავისებურად მოფერება უნდა. მკაცრ პირობებში მცხოვრები გლეხი სხვანაირად უყურებს ყველაფერს, მკაცრად რეალისტურად აფასებს. თუ ითხოვს რამეს, კონკრეტული პასუხი უნდა გასცე“.

ქაქუთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტთან“ ურთიერთობა „კარგი მმართველობის დეკლარაციაზე“

ხელის მოწერით დაიწყო. ხელმოწერილი დეკლარაცია ახლა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დერეფანში თვალსაჩინო ადგილას ინახება და ნიკო ბერაძისთვის ერთ-ერთ ყველაზე ლირებულ დოკუმენტს წარმოადგენს.

ნიკო ბერაძე ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტთან“ ერთად, მშობლიურ მუნიციპალიტეტში სამ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს: მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა, ერთი ფანჯრის პრინციპით მოქმედი მოსახლეობის და ბიზნესსექტორის მომსახურების ბიუროს ამოქმედება და მუნიციპალიტეტის პასპორტის შემუშავება. პროექტების ავტორი და ორგანიზატორი არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტია“.

„დღეს ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობა მაქვს, თუმცა საქმის კეთება ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობაა. თანამდებობრივად როცა დაბალ საფეხურზე ხარ, გადაწყვეტილების მიღების მომენტი სხვაგვარია, როცა ხელმძღვანელი პირი ხარ, პასუხისმგებლობა გაცილებით მაღალია. აღმოჩნდა, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირიც ვარ... საკრებულო მაინც წარმომადგენლობითი ორგანოა. ჩვენთან, ქობულეთში ოჯახებსა და გვარებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და აუცილებელია ყველას იცნობდე. გეყოლება თანამოაზრეები და ოპოზიციონერები... თუ ვზრუნავთ იმაზე, რომ ჩვენი ქობულეთი გავალამაზოთ, უფროსი თაობის მსგავსად ნოსტალგიით კი არ უნდა ვაკეთოთ შედარებები წარსულთან, ოცდამეერთე საუკუნის შესაფერისი მუნიციპალიტეტი უნდა ჩამოვაყალიბოთ“ – აცხადებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

## „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“ – რეგიონალური კონკურსი

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა – „ინტელექტი“ კონკურსის – „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“ რეგიონალური ტური ჩაატარა. კონკურსში ის მოქალაქეები მონაწილეობდნენ, რომლებმაც მუნიციპალურ კონკურსში („მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“) საპრიზო ადგილები მოიპოვეს.

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ კონკურსის – ,,მე ვიცნობ ჩემს თვითთმმართველობას“ კომისიის დებულებაში შეტანილი ცვლილებების (ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ გამგეობის თავმჯდომრის ბრძანება N- 21/EU-211023) თანახმად, საკონკურსო კითხვარში 60 ტესტი შევიდა და მინიმალური ზღვარი 55 ქულით განისაზღვრა.

მუნიციპალიტეტებში 15 გამარჯვებულიდან რეგიონალურ კონკურსში მონაწილეობა მხოლოდ 13-მა მიიღო (კონკურსს პირადი პრობლემების გამო ვერ დაესწრნენ შუახევის მუნიციპალიტეტის I საპრიზო ადგილის მფლობელი ზვიად დიასამიძე და ხულოს მუნიციპალიტეტის III საპრიზო ადგილის მფლობელი თამაზ დიმიტრაძე). კონკურსანტები ამბობენ, რომ „რეგიონალური კონკურსი რთული იყო“.

თამილა წულუკიძე, რომელმაც მუნიციპალურ კონკურსში (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში) პირველი საპრიზო ადგილი მოიპოვა, ამბობს: „რეგიონალური კონკურსი ასეთი რთული არ მეგონა. კონკურსისთვის მომზადებული ვიყავი, მაგრამ იმდენად არა, რომ ასეთ რთულ კითხვებზე გამეცა პასუხი... გამარჯვების იმედი არ მაქვს, მაგრამ კონკურსში მონაწილეობით მაინც კმაყოფილი ვარ. ცოდნაც მივიღე და ბევრი მეგობარიც შევიძინე“. მისგან განსხვავებით ნანა კაკალაძე (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში II საპრიზო ადგილის მფლობელი) იმედოვნებს, რომ ტესტების 100-დან 80%-ს სწორად უპასუხა. „ზღვარი ძალიან მაღალი იყო, ვნახოთ...“ – აღნიშნა მან გაზეთ „ინტელექტთან“ საუბარში.

ხულოს მუნიციპალიტეტში II საპრიზო ადგილის მფლობელი, ემზარ ქედელიძე დარწმუნებულია, რომ რეგიონალურ კონკურსში – „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“ ქულათა მინიმალური ზღვარი გადალახა (კონკურსის მონაწილეებისთვის ქულათა რაოდენობა და საპრიზო ადგილების მფლობელთა ვინაობა მხოლოდ დაჯილდოების ცერემონიაზე გახდება ცნობილი) და იმედოვნებს, რომ საპრიზო ადგილს მოიპოვებს. „ტესტები რთული იყო, მაგრამ ვფიქრობ, გადავლახე. ზღვარი დაბალი უნდა ყოფილიყო, რომ მეტი ხალისი ჰქონოდა ამ ინტელექტუალურ თამაშს“ – აცხადებს ქედელიძე.

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ უახლოეს პერიოდში რეგიონალური კონკურსის – „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“ მონაწილეებს საზეიმო ცერემონიაზე მოიწვევს, ქულათა რაოდენობას გააცნობს და გამარჯვებულებს ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოებს. პრიზს ის განმანათლებელიც მიიღებს, რომლის მიერ კონკურსზე წარმოდგენილი კონკურსანტიც ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს და I საპრიზო ადგილს მოიპოვებს.

# გასვლითი ტრენინგი საკრებულოს წევრებისათვის



ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ ორგანიზებით პროექტის – „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ ფარგლებში, აჭარის რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს გასვლითი ტრენინგები ჩაუტარდათ, თემაზე – „ადგილობრივი ბიუჯეტი, საბიუჯეტო შემოსავლები და ხარჯები“ და „საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და ძირითადი პრინციპები“. ტრენინგის მონაწილეები „ინტელექტმა“ წინასწარი გამოკითხვა-ანკეტირების საფუძველზე შეარჩია. მასში ძირითადად მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა და იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრები მონაწილეობდნენ. მათთან ერთად იყვნენ საკრებულოს ის წევრები, რომლებიც არ არიან ზემოთ ჩამოთვლილ კომისიებში, მაგრამ გამოკითხვის დროს ანკეტაში მიუთითეს, რომ მოისმენდნენ ტრენინგს საბიუჯეტო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხებზე.

საკრებულოს წევრებისთვის ტრენინგების ჩასატარებლად ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა – „ინტელექტი“ კვალიფიციური ტრენერები კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტიდან მოიწვია. ექსპერტ-ანალიტიკოსები თემურ თორდინავა და მიხეილ ძაგანია ერთი კვირის მანძილზე უზიარებდნენ საკრებულოს წევრებს თავიანთ ცოდნას და გამოცდილებას.

ტრენინგზე „ადგილობრივი ბიუჯეტი, საბიუჯეტო შემოსავლები და ხარჯები“, განხილულ იქნა საქართველოს საბიუჯეტო სისტემის სტრუქტურა, თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დამოუკიდებლობა, ბიუჯეტის ტიპები (მუხლობრივი, შემსრულებლობითი, პროგრამული), თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო პროცესი და ეტაპები (ბიუჯეტის პროექტის შედგენა, ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება, ბიუჯეტის შესრულება, ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის შედგენა და მისი დამტკიცება), ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო კალენდარი, ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები (ბიუჯეტის შემოსულობები – ბიუჯეტის ანგარიშებზე მისაღები ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობა და ბიუჯეტის გადასახდელები – ბიუჯეტის ანგარიშებიდან გასაცემი ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობა), ტრანსფერები (მიზნობრივი ტრანსფერი, სპეციალური და გამოთანაბრებითი) და მიზნობრივი პროგრამების სტრუქტურის განსაზღვრა.

„საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და ძირითადი პრინციპები“ – ტრენინგის მიმდინარეობისას განიხილეს ზოგადი დებულებები, საკრებულოს წევრის სტატუსი, საკრებულოს ბიურო, კომისიები და ფრაქციები, საკრებულოს სხდომები და კენჭისყრის წესები, სამართლებრივი აქტები და სპეციალურ საკითხთა განხილვის წესები საკრებულოში, საკრებულოს სამართლებრივი აქტები და გაფორმების წესი, საკრებულოს მიერ კონტროლის განხორციელება, საკრებულოს ორგანოებისა და თანამდებობის პირთა არჩევა და გადარჩევა, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის უფლებამოსილებები და სამუშაო წესები.

ტრენინგის ჩატარება-ორგანიზებით კმაყოფილნი არიან მონაწილეები. „მსგავს ტრენინგებს ბევრჯერ დავსწრებივარ არასამთავრობო სექტორის და ეკონომიკის სამინისტროს ორგანიზებით. ჩვენთან, მთიან აჭარაში ინფორმაციის ვაკუუმია იმ კუთხით, რომ ელექტრონულ სისტემებზე ხელი ნაკლებად მიგვიწვდება. ამ ტრენინგზე ჩემი კომისიიდან ოთხი წევრი ვიღებთ მონაწილეობას. დარწმუნებული ვარ, როცა მუნიციპალიტეტში დავბრუნდებით, მუშაობა უფრო გაგვიადვილდება“ – აღნიშნა ხულოს მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ემზარ აბულაძემ.

ტრენინგით კმაყოფილია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ შარაძეც: „ეს ტრენინგები კარგი და დროულია. საკრებულოს წევრებისათვის ამ საკითხების ცოდნა აუცილებელია. შეიძლება გამოცდილება გქონდეს, მაგრამ როცა ფაქტის წინაშე დგები, თუ არ გაქვს მყარი ცოდნა, გადაწყვეტილების მიღება გიჭირს. „ინტელექტთან“ ჯერ კიდევ თემის რწმუნებულობის დროიდან ვთანამშრომლობ. კარგ პროექტებს ახორციელებს და მივესალმები, რომ მუნიციპალიტეტების განვითარებაზე ასე ზრუნავს. მოხარული ვარ, რომ დღეს აქ ვარ და ტრენინგებს ვისმენ. ვფიქრობ, ბევრი რამ მივიღე – ვნახე როგორ მსჯელობენ სხვა საკრებულოს წევრები, ახლა მათთან კონსულტაციებს გავდივარ“.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „მრეწველი“ წევრი, როსტომ დოლიძე მიიჩნევს, რომ ტრენინგზე მიღებული ცოდნა პრაქტიკაში გამოადგება. „„თუ კიდევ მომეცემა საშუალება, სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას ასეთ ტრენინგებში. გარდა სწავლისა, ეს ტრენინგი კარგი იყო იმითაც, რომ სხვა მუნიციპალიტეტების საკრებულოს წევრები გავიცანი“.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რესპუბლიკელ წევრს, ავთანდილ ბერიძეს, ტრენინგები მოსწონს, მაგრამ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტს“ რეკომენდაციას აძლევს: „მე, პირადად, ანკეტირებისას ავღნიშნე, რომ მოვისმენდი ტრენინგს საბიუჯეტო და იურიდიულ საკითხებზე. ალბათ უმრავლესობამ ეს მოითხოვა, რადგან დღეს მუნიციპალიტეტებში ყველაზე პრობლემატური ეს საკითხებია. მოხარული ვარ, რომ „ინტელექტმა“ ზუსტად გაითვალისწინა ჩვენი – საკრებულოს წევრების სურვილი. შედეგები საკრებულოს ჩემს მეგობარ წევრთან უკვე შევაჯამე. ერთ დასკვნამდე მივედით: არ შეიძლება მმართველი გუნდის და ოპოზიციის ერთად მოწვევა სემინარზე, რადგან ეს გადადის პოლემიკაში. მათ არ აქვთ სურვილი, რაიმე ისწავლონ, ეს საკითხები დიდად არ აინტერესებთ. მათ აქვთ გარანტირებული დეპუტატობა შემდეგი მოწვევის საკრებულოში. ამ საკითხებს ფლობენ თუ არ ფლობენ, არავინ ეკითხებათ. უბრალოდ იმაზე უნდა აწიონ ხელი, რაზედაც ჩვენ არ ავწევთ, რადგან ვაზროვნებთ. ჩვენ კი იმისთვის ვართ მოსული, რომ რაღაც წავიღოთ აქედან. ვფიქრობ, მომავლისთვის არ ღირს ამ ადამიანების ერთად დაჯდომა. დრო იკარგება, მათ მაინც ვერაფერს გააგებინებ და მეცადინეობისას დრო ფუჭად იხარჯება.“

ჯემალ დიასამიძე მესამე მოწვევის საკრებულოს წევრია, რადგან ე.წ. „მრგვალი მაგიდიდან“ მოყოლებული დღემდე შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მუშაობს. კოლეგები ხუმრობით ეკითხებიან, „საკრებულოში ხომ არ დაიბადეო“. მიუხედავად თავისი პრაქტიკული გამოცდილებისა, „ინტელექტის“ მიერ ორგანიზებულ ტრენინგში მონაწილეობა მაინც მიიღო: „ტრენინგის იდეა საინტერესოა, მით უმეტეს, გასვლითი. ეს სწავლებაც იყო და ექსკურსიაც. კმაყოფილი ვარ იმით, რომ გაურკვეველი საკითხი არ დარჩენილა. ეს ტრენინგები განსაკუთრებით საინტერესო და სასარგებლო პირველი მოწვევის საკრებულოს წევრებისათვის იყო. ასეთი ტრენინგები აუცილებელია. ტრენინგზე განხილული საკითხების არცოდნა ხშირად საკრებულოს წევრებს უხერხულ სიტუაციაში აგდებს. ეს კი იმას იწვევს, რომ გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღება. საბოლოოდ საღმა აზრმა უნდა გაიმარჯვოს და ამაში ამ ტრენინგებზე მიღებული ცოდნა, თუნდაც კაზუსების ამოხსნაში, დაგვეხმარება“.

ტრენინგზე გენდერული ბალანსი დაცული არ იყო (ისევე, როგორც თავად საკრებულოებში), თუმცა რამდენიმე ქალბატონი ესწრებოდა. ერთ—ერთი მათგანი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საუკუნის მშვილდოსანი ხათუნა ნარიმანიძეა. იგი კმაყოფილია ტრენინგში მონაწილეობით: „კარგად იყო ორგანიზებული, საკითხებიც საინტერესო იყო და რაც მთავარია, ტრენერებიც კომპეტენტურები იყვნენ. ეს ტრენინგები მარტო სწავლება არ ყოფილა. აქ იყო აზრების გაცვლა და გამოცდილების გაზიარება, რაც საკრებულოს წევრებს მუშაობას და გადაწყვეტილების მიღებას გაგვიადვილებს. გარდა ამისა, მადლობა იმისთვისაც მინდა ვუთხრა „ინტელექტს“, რომ ამ ტრენინგების მიმდინარეობისას მომეცა საშუალება, გამეცნო ჩემთვის უმნიშვნელოვანესი ადამიანი, საქართველოში სპორტის მემატიანე, მრავალგზის ჩემპიონი ტრამპლინიდან ხტომაში, კობა წაქაძე“.

საკრებულოს წევრების მსგავსად კმაყოფილება გამოთქვეს ტრენინგზე მოწვეულმა ტრენერებმაც. „ძალიან კმაყოფილი ვარ ტრენინგის მიმდინარეობით. მადლობა „ინტელექტს“, რომ მოგვიწვია. ამ ტრენინგების განმავლობაში ჩვენ ვისაუბრეთ ძალიან სიღრმისეულ თემებზე თვითმმართველობასთან დაკავშირებით. ეს ტრენინგები გათვალისწინებული იყო საფინანსო და იურიდიული კომისიის წევრებისათვის. ამ ადამიანების ამ ფორმატში (ვგულისხმობ სხვადასხვა მუნიციპალიტეტების საკრებულოს წევრების ერთად შეკრებას) შეხვედრა და მსგავსი ტრენინგების ჩატარება, არის ძალიან ეფექტური. პირადად ვესაუბნრე ამ ადამიანებს, გავიგე მათი საჭიროებები. ერთხმად გამოიხატა ტენდენცია, რომ მსგავსი სახის ტრენინგები ჩაუტარდეს აღმასრულებელ ორგანოებსაც. ჩემი აზრით პროექტმა თავისი მისია უკვე შეასრულა და ათბალიან სისტემაში 10 ქულა დაიმსახურა. დიდი მადლობა მათ, ვინც კურირებდა პროექტის და ტრენინგების განხორციელებას“ – აღნიშნა თემურ თორდინავამ.

„ინტელექტთან“ თანამშრომლობით კმაყოფილია მიხეილ ძაგანიაც: „ამ ტრენინგზე ბევრი საჭირო ინფორმაცია მივიღე. არა მარტო ტრენინგის მონაწილეებისთვის იყო ეს შეხვედრა სასარგებლო, ჩვენც ბევრი შევიძინეთ აქ ყოფნით. პირველ რიგში ურთიერთობები, შემდეგ მათი გამოცდილება გაგვიზიარეს... ჩვენ ვართ ექსპერტ-ანალიტიკოსები და სახელმწიფო მართვის მაგისტრები, ვმუშაობთ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისთვის, მაგრამ საჯარო სამსახურში არ გვიმუშავია და შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება არ გვაქვს. ამდენად ეს ტრენინგები ჩვენთვისაც სასარგებლო იყო. ჩვენ ვთანამშრომლობთ თვითმმართველობებთან, როგორც ტრენერები. ამ ტრენინგმა გამოავლინა აქცენტი რაზე უნდა გაკეთდეს და სხვა თვითმმართველობებთან თანამშრომლობისას ამ საკითხებსაც გამოვიყენებთ“.

„აჭარის რეგიონის ხუთი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ერთად შეკრება და გასვლითი ტრენინგი ბევრად სასარგებლო აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდით. საკრებულოს წევრებმა ერთმანეთი და მეზობელი თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს წევრები სამსახურის გარეთ, არაფორმალურ სიტუაციაში გაიცნეს, რამაც ძალიან შეუწყო ხელი მათ დაახლოებას და თვითმმართველ ერთეულთა შორის ურთიერთთანამშრომლობის დამკვიდრებას. ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთი გამოცდილებას, შეხედულებებსა და სტრატეგიებს, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. ჩვენთვის სასიამოვნო ფაქტია ის, რომ საკრებულოს წევრებმა გამოთქვეს სურვილი და იმედი, რომ ინტელექტი კვლავაც გააგრძელებს მათთან თანამშრომლობას, ახალი პროექტების ფარგლებში“ – აღნიშნა ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ იურისტმა და ტრენინგების ერთერთმა კოორდინატორმა რენა ფერცელიძემ.

ტრენინგის წარმატებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ საკრებულოს წევრებმა დაგეგმეს, მოაწყონ ტურნირი ფეხბურთში, ერთობლივად მოიარონ ტაოკლარჯეთი, ითანამშრომლონ მეზობელ საკრებულოებთან, დაესწრონ მეზობელი მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარებულ სხდომებს და ა. შ.

ტრენინგის მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ.



## განცხადება

როგორც ცნობილია საქართველოს კანონში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ განხორციელდა ცვლილებები, რომელის მიზნია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვა. მოცემული სისტემა უზრუნველყოფს ღია, გამჭვირვალე და კონკურენტუნარიან გარემოს შექმნას სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილე ნებისმიერი პირისათვის.

სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის შესახებ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი ,,ინტელექტი“ ატარებს ფასიან ტრენინგებს სახელწოდებით: „სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ოპერირება“ რაც დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს შეისწავლონ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით სარგებლობა.

ტრენინგებს ჩაატარებენ ქალაქ თბილისის კავკასიის ეკონომიური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტიდან მოწვეული კვალიფიციური ექსპერტები.

**დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“**
**ქ. ბათუმი აღმაშენებლის ქ.№13 მე-4 სართული, ტელ: (888222) 4 16 50 ან 892 57 14 00**

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: თეონა კაკაციძე

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი“
მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 41650, ფაქსი: 41640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge